



## ეკონომიკა

**საგარეო ვაჭრობა:** საქსტატის მონაცემებით, 2023 წლის ოქტომბერში საქონლის ექსპორტის წლიური ზრდის ტემპი 10.4%-მდე დაჩქარდა და 495.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვის 0.9%-იანი ზრდის შემდეგ. იმპორტის წლიური ზრდა 3.3%-მდე შენედა და 1.2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვეში დაფიქსირებული 11.1%-იანი ზრდის შემდეგ. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 0.9%-ით შემცირდა და 747.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2021 წლის თებერვლის შემდეგ პირველი შემცირებაა.

ჯამურად, 2023 წლის იანვარ-ოქტომბერში, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 21.7%-ით გაიზარდა და 7.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 12.5%-ით გაიზარდა 5.1 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 17.8%-ით გაიზარდა და 12.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

**ფულადი გზავნილები:** სებ-ის მიხედვით, 2023 წლის ოქტომბერში ფულადი გზავნილები წლიურად 43.6%-ით შემცირდა და 283.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც იხსნება გასული წლის მაღალი ბაზით და გზავნილების ნორმალიზებით რუსეთიდან. ძირითადი დონორი ქვეყნებიდან ფულადი გზავნილები შემცირდა რუსეთიდან (-79.4% წ/წ, +3.8% თ/თ, მთლიანად 21.8%) და თურქეთიდან (-5.5% წ/წ). თუმცა, ამავდროულად, გზავნილები წლიურად მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდეგი ქვეყნებიდან: იტალია (+19.2%), აშშ (+39.2%), საბერძნეთი (+11.0%), გერმანია (+31.1%), ისრაელი (+4.4% წ/წ) და ყაზახეთი (+97.6%). ჯამურად, 2023 წლის იანვარ-ოქტომბერში ფულადი გზავნილები წლიურად 6.2%-ით გაიზარდა და 3.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

**ეკონომიკური ზრდა:** საქსტატის საბოლოო შეფასებით, 2022 წელს საქართველოს ეკონომიკა 10.4%-ით გაიზარდა (წინასწარი მაჩვენებელი 10.1%-ი იყო). ამასთან, ნომინალური მშპ წლიურად 20.4%-ით გაიზარდა და 72.3 მლრდ ლარი შეადგინა (24.8 მლრდ აშშ დოლარი), ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე 6,676 აშშ დოლარს (+32.9% წ/წ) გაუტოლდა 2022 წელს.

სექტორულ ჭრილში, ეკონომიკურ ზრდაში მაღალი დადებითი კონტრიბუცია შეიტანეს IT მომსახურეობის (+59.1% წ/წ), ვაჭრობის (+10.8% წ/წ), ტრანსპორტის (+24.7% წ/წ), მშენებლობის (+16.5% წ/წ) და დამამუშავებელი მრეწველობის (+10.5% წ/წ) დარგებმა, ხოლო კლება დაფიქსირდა ჯანდაცვისა (-16.3% წ/წ) და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციების (-3.7% წ/წ) დარგებში.

გარდა ამისა, საქსტატმა 2023 წლის იანვარ-ივნისის რეალური მშპ-ის მაჩვენებელი ზრდის მიმართულებით 7.9%-მდე დააკორექტირა, არსებული 7.6%-დან. ამის გათვალისწინებით 2023 წლის იანვარ-სექტემბერში რეალური მშპ წლიურად 7.0%-ით გაიზარდა.


ჩვენი პროგნოზით, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.8%-ით, ხოლო 2024 წელს 5.0%-ით გაიზარდება.

### ეკონომიკური ინდიკატორები


	2022	2023F
რეალური მშპ-ს ზრდა	10.4%	6.8%
მშპ ერთ სულზე (ppp)	20,260	22,043
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	6,676	8,050
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	9.8%	0.8%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	4.9	5.3
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	4.5%	4.5%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	3.0%	2.8%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.5%	38.4%
Fitch/S&P/Moody's*		BB/BB/Ba2

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი  
\*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

### საქართველოს მშპ



### საქონლის ექსპორტი





# ფულადი ბაზარი

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 14 ნოემბერს 10-წლიანი 20 მლნ ლარის (7.4 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.3-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.0693პპ-ით გაიზარდა და 8.314% შეადგინა.

ასევე, ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 14 ნოემბერს 1-წლიანი 20 მლნ ლარის (7.4 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 3.0-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.0243პპ-ით შემცირდა და 9.251% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2023 წლის 21 ნოემბერს, სადაც 10-წლიანი 50 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

## სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2023 წელი

ვადიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	220	20	
1-წელი	220	20	380
2-წელი	467	40	
5-წელი	938	120	7,456
10-წელი	705	120	
<b>სულ</b>	<b>2,550</b>	<b>320</b>	<b>7,836</b>


წყარო: ფინანსთა სამინისტრო  
\* 2023 წლის ოქტომბრის მდგომარეობით

## სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

## განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

## მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

## ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ  
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



# ობლიგაციების გლობალური ბაზრები

გასულ კვირას:

- აშშ-ს 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციის შემოსავლიანობა 4.61%-დან 4.45%-მდე შემცირდა, ხოლო 10-წლიანი გერმანული სახაზინოს (ევროპული ბენჩმარკი) შემოსავლიანობა 2.72%-დან 2.59%-მდე დაეცა.
- შემოსავლიანობის მაჩვენებლების შემცირება გამოიწვია აშშ-ში მოლოდინზე უფრო დაბალი ინფლაციის გამოქვეყნებამ. მთლიანი ინფლაცია 3.7%-დან 3.2%-მდე, ხოლო საბაზო ინფლაცია 4.1%-დან 4.0%-მდე შემცირდა.
- ბაზრის მოლოდინის თანახმად, დეკემბერში ფედის მიერ განაკვეთების უცვლელად დატოვების ალბათობა 100%-ია.

სახელმწიფო ობლიგაციები, შემოსავლიანობა %	უახლესი	4Q23F	1Q24F	2Q24F
US 2y Treasury	4.91	4.93	4.61	4.23
US 5y Treasury	4.46	4.52	4.29	4.03
US 10y Treasury	4.45	4.52	4.31	4.09
US 30y Treasury	4.61	4.71	4.54	4.33
German 2y Bund	2.96	3.00	2.92	2.77
German 10y Bund	2.59	2.64	2.54	2.50


საპროცენტო განაკვეთი, %	უახლესი	1 კვირის წინ	1 თვის წინ	1-იან 2023
SOFR	5.32	5.32	5.31	4.30
EURIBOR (3-თვიანი)	4.00	3.99	3.97	2.13


კორპორაციები, შემოსავლიანობა %	უახლესი	1 კვირის წინ	1 თვის წინ	1-იან 2023
US Inv. Grade	5.92	6.14	6.32	5.48
Eurozone Inv. Grade	4.25	4.38	4.57	4.04
EM Inv. Grade	5.95	6.13	6.31	5.46
US High Yield	8.83	9.01	9.38	8.99
EM High Yield	11.32	11.56	11.99	11.09

წყარო: Bloomberg  
შენიშვნა: სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის პროგნოზებისთვის აღებულია მდლიანური პროგნოზები ტოპ-საინვესტიციო ბანკებისაგან.

**FED-ის განაკვეთი (ზედა ზღვარი)**




**ECB-ის ძირითადი განაკვეთი**




წყარო: FED, ECB, Bloomberg, გალტ & თაგარტი

**აშშ-ს სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდი**



**გერმანიის სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდი**





## ობლიგაციები

### ქართული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	90.28	7.20	262.13
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Apr-21	Jun-28	BB-/BB-/	85.92	7.71	347.50
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	Mar-19	n/a	B-/-/	99.62	12.85	632.59
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-22	Jan-27	BB-/B1	98.76	8.82	438.91
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-19	Jun-24	BB-/B2	99.31	6.98	155.14
TBC PERP	USD	125	10.775%	Jul-19	n/a	B-/-/	98.04	13.38	787.94

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე  
წყარო: Bloomberg

### ქართული ადგილობრივი ობლიგაციების ძირითადი მონაცემები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
<b>USD</b>								
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-17	Nov-27	-/-/-	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-21	Dec-24	-/-/-B+	99.73	6.75
IG Development	USD	15	6.75%	Jan-22	Jan-24	-/-/-	99.88	7.13
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-22	Apr-25	-/-/-	100.00	9.00
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-22	Jun-25	-/-/-	n/a	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-22	Jul-24	-/-/-	99.81	8.75
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-22	Oct-24	-/-/-	99.99	8.50
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-	100.00	7.00
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-B+	100.00	8.50
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-	100.00	9.00
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-23	Apr-25	-/-/-BB-	100.00	8.50
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/	101.20	8.19
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-	101.21	8.63
Prime Concrete	USD	7.5	10.50%	Sep-23	Sep-27	-/-/-	n/a	n/a
Austrian-Georgian Development	USD	15	9.00%	Oct-23	Oct-25	-/-/-	n/a	n/a
<b>EUR</b>								
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-23	25-Apr	-/-/-BB-	100	7
<b>GEL</b>								
Geo. Beer Company	GEL	25	Ref rate + 4.00%	Dec-18	Dec-23	-/-/-BB-	n/a	n/a
Vian (Evex)	GEL	50	Ref rate + 3.10%	Nov-19	Nov-24	-/-/-BB	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-21	Nov-24	-/-/-BB-	n/a	n/a
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/-BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	15	TIBR3M + 4.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-B	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Dec-22	Feb-25	B-/	n/a	n/a
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/-B+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB-/	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB-/	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე  
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი




# ობლიგაციები

## ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

## კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტ & თაგარტი  
შენიშვნა: 2023 წლის უახლესი მარჯვენა მხარე

## კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით




წყარო: გალტ & თაგარტი



## აქციები

### საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

### საქართველოს ბანკის ჯგუფის

(BGEO LN) აქციები დაიხურა 34.25 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -3.11% წინა კვირასთან შედარებით და -0.29% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 321 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 32.05 - 36.00 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 53 ათასი აქცია შეადგინა.

### თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

### თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)

აქციები დაიხურა 26.85 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.65% წინა კვირასთან შედარებით და -5.12% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 252 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 25.95 - 28.35 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 43 ათასი აქცია შეადგინა.

### საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

### Georgia Capital-ის (CGEO LN)

აქციები დაიხურა 10.12 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.40% წინა კვირასთან შედარებით და +5.75% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 159 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 9.98 - 10.20 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 36 ათასი აქცია შეადგინა.





## აქციები

### აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტ ალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Bank of Georgia	BGEO	GBP	34.25	1,571	5.4%	39.8%	31.5%	2.74x	4.12x	4.16x	0.90x	1.02x	0.86x
TBC	TBC	GBP	26.85	1,487	13.8%	22.6%	18.3%	4.10x	4.47x	3.98x	1.04x	1.08x	0.92x
Halyk Bank	HSBK	USD	13.60	3,709	-3.5%	33.6%	22.5%	2.69x	2.48x	2.44x	0.78x	0.77x	0.65x
Akbank	AKBNK	TRY	30.08	156,416	93.1%	93.4%	53.9%	1.40x	2.61x	2.43x	0.55x	0.79x	0.65x
Garanti	GARAN	TRY	47.42	199,164	80.3%	92.0%	57.9%	1.91x	2.77x	2.53x	0.73x	1.06x	0.88x
Isbank	ISCTR	TRY	20.54	205,399	83.7%	120.9%	60.8%	0.84x	2.82x	2.90x	0.60x	0.85x	0.71x
PKO	PKO	PLN	47.68	59,600	50.6%	71.0%	57.4%	10.98x	9.63x	8.57x	1.03x	1.28x	1.24x
PEKAO	PEO	PLN	138.75	36,418	43.5%	66.5%	60.4%	na	6.11x	7.62x	na	1.22x	1.17x
Millennium	MIL	PLN	7.70	9,341	63.8%	59.8%	68.1%	na	3.17x	4.08x	1.04x	1.36x	1.25x
Mbank	MBK	PLN	559.00	23,738	63.9%	70.6%	88.9%	na	6.65x	7.34x	1.10x	1.51x	1.34x
BRD	BRD	RON	17.38	12,112	41.3%	29.7%	33.7%	6.81x	8.18x	9.47x	1.31x	1.58x	1.56x
Banca Transilvania	TLV	RON	23.00	18,369	30.6%	29.8%	30.3%	na	7.06x	7.24x	1.60x	1.48x	1.37x
Komercni	KOMB	CZK	679.00	129,043	2.9%	-9.5%	3.7%	8.36x	8.09x	8.91x	1.21x	1.02x	0.99x
<b>Mean</b>								<b>4.42x</b>	<b>5.24x</b>	<b>5.51x</b>	<b>0.99x</b>	<b>1.16x</b>	<b>1.05x</b>
<b>Median</b>								<b>2.74x</b>	<b>4.47x</b>	<b>4.16x</b>	<b>1.04x</b>	<b>1.08x</b>	<b>0.99x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საუქმველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულა, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირებლობის და დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტ ენდ თაგარტი**  
**მისამართი:** პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო  
**ტელ:** + (995) 32 2401 111  
**ელ. ფოსტა:** research@gt.ge

**კვლევები:**  
ტელ: +995 32 2401 111 (4298)  
**საბროკერი:** sales@gt.ge  
ტელ: +995 32 2401 111 (4132)  
**საინვესტიციო-საბანკო მიმართულება:** ib@gt.ge  
ტელ: +995 32 2401 111 (7457)